სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება №19

ქ. თბილისი

14 თებერვალი 2018წ.

„2017 წლის თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა (TUBITAK) და სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ“- სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2017 წლის 24 ნოემბრის N155 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის სამსახურის უფროსის, სამსახურებრივი ბარათის (N162485, 14.02.2018) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება 2017 წლის თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა (TUBITAK) და სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ“- სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2017 წლის 24 ნოემბრის N155 ბრძანებაში და ბრძანების მე-2 პუნქტით დამტკიცებული დანართი ერთის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა (TUBITAK) და სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივ სამეცნიერო საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიზნით, 2018 წლის 1 მარტის ჩათვლით, თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოს (TUBITAK) ელექტრონულ სისტემაში (მისამართზე uidb-pbs.tubitak.gov.tr) ერთობლივი კვლევითი პროექტი ინგლისურ ენაზე უნდა წარადგინოს საქართველოს მოქალაქე მეცნიერთა ჯგუფმა და თურქეთის მეცნიერთა ჯგუფმა.

2. საქართველოს მოქალაქე მეცნიერთა ჯგუფმა ფონდის კანცელარიაში 2018 წლის 15 მარტის 15:00 საათამდე უნდა წარადგინოს:

ა) თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოს (TUBITAK) ელექტრონულ სისტემაში ინგლისურ ენაზე დარეგისტრირებული სრული საპროექტო წინადადების ასლი;

ბ) თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოს (TUBITAK) ელექტრონულ სისტემაში ინგლისურ ენაზე დარეგისტრირებული სრული საპროექტო წინადადების ქართულ ენაზე ნათარგმნი და თარჯიმანთა ბიუროს მიერ დამოწმებული ვერსია.

გ) თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა (TUBITAK) და სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2017 წლის ერთობლივ სამეცნიერო საგრანტო კონკურსში მონაწილე პროექტის წარმომდგენ ქართველ მეცნიერთა განცხადება, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს საქართველოს მხრიდან პროექტის ხელმძღვანელის ხელმოწერით, ქართველ მეცნიერთა ჯგუფის ყველა წევრის ხელმოწერით (დანართი #2).

დ) პროექტის ხელმძღვანელისა და სხვა ძირითადი პერსონალის - საქართველოს მეცნიერთა ჯგუფის წევრთა პირადობის დამადასტურებელი და აკადემიური ხარისხის/სწავლის დამადასტურებელ დოკუმენტები (თუ აღნიშნული დოკუმენტი უცხოეთშია გაცემული, მას თან უნდა ერთვოდეს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ. საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში გაცემულ დოკუმენტს არ სჭირდება ქართული თარგმანი და აღიარება).

ე) პროექტში ჩართული ძირითადი პერსონალის პროფესიული ბიოგრაფიები (CV) (დანართი #3).

ვ) თანადაფინანსების არსებობის შემთხვევაში, პროექტის ხელმძღვანელმა ფონდში უნდა წარადგინოს თანადაფინანსების დამადასტურებელი წერილი თანხის მითითებით და შესაბამისად დამოწმებული იურიდიული პირის, ხელმძღვანელის, ან ფიზიკური პირის ხელმოწერით (დანართი #4).

ზ) თუ პროექტი წარმოადგენდეს სხვა საერთაშორისო პროექტით გათვალისწინებული კვლევის იმ დაუფინანსებელ ნაწილს, რომელიც საჭიროებს თანადაფინანსებას, ან აღნიშნული კვლევის გაგრძელებას, სავალდებულოა პროექტის ძირითადი პერსონალის წარმომადგენელმა ფონდის კანცელარიაში წარადგინოს აღნიშნული საერთაშორისო პროექტის ან კვლევის შესახებ დეტალური ინფორმაცია და საპროექტო წინადადების მნიშვნელობის/როლის განმარტება ზემოხსენებული საერთაშორისო პროექტთან ან კვლევასთან მიმართებით.“

2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;

3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მანანა მიქაბერიძე